

შპს ატლანტიკ ჰოტელი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ატლანტიკ ჰოტელის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	17 635,70	10 921,21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	47 384,33	31 331,62
მარაგები		57 458,34	96 669,82
წინასწარ გაწეული ხარჯები		2 691 013,00	2 993 624,00
		2 813 491,37	3 132 546,65
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	179 956,20	127 509,46
		179 956,20	127 509,46
		2 993 447,57	3 260 056,11
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	804 804,57	1 869 705,11
		804 804,57	1 869 705,11
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3 782 083,00	2 477 223,00
		3 782 083,00	2 477 223,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		744 470,00	379 898,00
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(2 337 910,00)	(1 466 770,00)
		(1 593 440,00)	(1 086 872,00)
		2 993 447,57	3 260 056,11

დირექტორი

ა. აშკაშიძე

აშკაშიძე

შპს ატლანტიკ ჰოტელის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

საქმიანობის შედეგები

	2022	2021
ამონაგები მომსახურებიდან	3 597 180,35	2 064 894,99
ამონაგების თვითღირებულება	(824 309,69)	(1 303 441,54)
საერთო მოგება	2 772 870,66	761 453,45
წმინდა სხვა შემოსავალი	21 968,51	831 389,75
დასაქმებულთა ანაზღაურება	(561 906,05)	(771 874,30)
ცვეთა და ამორტიზაცია	(19 315,63)	(10 807,32)
ოჯარის ხარჯი	(3 012 512,87)	(2 087 983,25)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(58 206,84)	(190 585,83)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3 629 972,88)	(2 229 860,95)
საოპერაციო მოგება	(857 102,22)	(1 468 407,50)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(14 037,57)	1 637,50
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	(871 139,79)	(1 466 770,00)
მოგების გადასახადი		-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(871 139,79)	(1 466 770,00)
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	(1 086 872,00)	-
კაპიტალის გაზრდა	364 572,00	379 898,00
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1 593 439,79)	(1 086 872,00)

დირექტორი

ა. აშკაშიძე

ა. აშკაშიძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ატლანტიკ ჰოტელი (ს/ნ 445596622, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2021 წლის 6 აპრილს, კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. N132გ.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- დავით დუმბაძე - 33.33%;
- ანზორი აშკაშიძე - 33.33%;
- ნათია მურვანიძე - 33.34%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ანზორი აშკაშიძე.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას

კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში, მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის

არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.22	31.12.21
ნაღდი ფული	6 077,59	4 352,79
ეროვნული ვალუტა ბანკში	11 558,11	6 568,42
	17 635,70	10 921,21

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.22	31.12.21
მყიდველები	20 652,00	79,50
გადასახადები	19 464,61	25 231,16
მოთხოვნები პერსონალისადმი	7 267,72	6 020,96
	47 384,33	31 331,62

5. ძირითადი საშუალებები

	31.12.21	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
მანქანა-დანადგარები	86 332,61	(961,87)	85 370,74
ოფისის აღჭურვილობა	9 017,80	72 301,61	81 319,41
ავეჯი და ინვენტარი	23 265,27	-	23 265,27
არამატერიალური აქტივები	19 701,08	-	19 701,08
	138 316,76	71 339,74	209 656,50
აკუმულირებული ცვეთა			
მანქანა-დანადგარები	(6 720,79)	(8 712,06)	(15 432,85)
ოფისის აღჭურვილობა	(470,50)	(3 553,52)	(4 024,02)
ავეჯი და ინვენტარი	(1 919,48)	(3 522,95)	(5 442,43)
არამატერიალური აქტივები	(1 696,55)	(3 104,43)	(4 800,98)
	(10 807,32)	(18 892,96)	(29 700,28)
საბალანსო ღირებულება			
მანქანა-დანადგარები	79 611,82	(9 673,93)	69 937,89
ოფისის აღჭურვილობა	8 547,30	68 748,09	77 295,39
ავეჯი და ინვენტარი	21 345,79	(3 522,95)	17 822,84
არამატერიალური აქტივები	18 004,53	(3 104,43)	14 900,10
	127 509,44	52 446,78	179 956,22

შპს ატლანტიკ ჰოტელის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.22	31.12.21
მომწოდებლები	38 650,07	241 256,42
გადასახდელი ხელფასები	24 756,40	74 135,99
მიღებული ავანსები	741 398,10	1 554 312,70
	804 804,57	1 869 705,11